

შპს ბი თი ელი

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	2
სრული შემოსავლების ანგარიშგება	3
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	3
ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი	4
ზოგადი ინფორმაცია.....	5
ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი	5
სააღრიცხვო პოლიტიკა.....	5
ამონაგები	5
სავაჭრო მოთხოვნები და ვალდებულებები.....	6
მარაგი.....	6
ძირითადი საშუალებები.....	6
სასესხო ვალდებულება	7
საგადასახადო ვალდებულება	7
ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი მუხლების განმარტება	7
ამონაგები	7
დასაქმებულთა ანაზღაურება	7
საპროცენტო ხარჯი და შემოსავალი.....	8
ძირითადი საშუალებები.....	8
სასესხო ვალდებულება	8

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

აქტივები

გრძელვადიანი აქტივები

ძირითადი საშუალებები საბალანსო ღირებულებით
არამატერიალური აქტივი
გაცემული სესხები

მთლიანი გრძელვადიანი აქტივები

მოკლევადიანი აქტივები

ფული და ფულის ეკვივალენტები

მარაგი

სავაჭრო მოთხოვნები

საგადასახადო ავანსი

მთლიანი მოკლევადიანი აქტივები

მთლიანი აქტივები

2024	2023
215,087	252,036
3,772	3,772
514,185	514,185
733,044	769,993
94,197	143,986
603	557
170,836	175,678
-	53,560
265,636	373,781
998,680	1,143,774

ვალდებულებები და კაპიტალი

მიმდინარე ვალდებულებები

მიმდინარე სავაჭრო ვალდებულებები

მიმდინარე სასესხო ვალდებულება

საგადასახადო ვალდებულება

მთლიანი მიმდინარე ვალდებულებები

მთლიანი ვალდებულებები

72,909	40,318
55,701	108,831
2,270	-
130,880	149,149
130,880	149,149

კაპიტალი

საკუთარი კაპიტალი

გაუნაწილებელი მოგება

მთლიანი კაპიტალი

მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი

-	-
867,800	994,625
867,800	994,625
998,680	1,143,774

დირექტორი

მაია ბიბილაური



სრული შემოსავლების ანგარიშგება

	2024	2023
ამონაგები	15,449,329	16,356,500
მომსახურების გაყიდვიდან	15,449,329	16,356,500
რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება	(13,081,619)	(13,959,500)
საერთო მოგება	2,367,710	2,397,000
დასაქმებულთა ანაზღაურება	(1,930,913)	(1,732,463)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(459,304)	(460,008)
სხვა შემოსავალი		7,971
სხვა ხარჯი	(2,376)	(1,905)
საოპერაციო მოგება (ზარალი)	(24,883)	210,595
ცვთა და ამორტიზაცია	(39,062)	(23,044)
საპროცენტო ხარჯი	(35,814)	(27,673)
საპროცენტო შემოსავალი	76	5
სხვა ფინანსური ხარჯი	(17,865)	(14,846)
საკურსო სხვაობა	(9,277)	(31,557)
მოგება (ზარალი) დაბეგვრამდე	(126,825)	113,480
მოგების გადასახადი	-	-
წმინდა მოგება (ზარალი)	(126,825)	113,480

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	2024	2023
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	994,625	881,145
გაცემული დივიდენდი	-	-
ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	(126,825)	113,480
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-	-
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	867,800	994,625

დირექტორი

მაია ბიბილაური




ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი

	2024	2023
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	72,546	163,602
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-	(514,939)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(88,868)	81,158
ფულადი ნაკადი წლის განმავლობაში	(16,322)	(270,179)
სავალუტო კურსის ეფექტი	(33,467)	(18,089)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	143,986	432,254
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	94,197	143,986

დირექტორი

მაია ბიბილაური



ზოგადი ინფორმაცია

შპს ბი თი ელი ს.ნ. 404883809 (შემდგომში წოდებული როგორც „კომპანია“) დაარსდა 2011 წლის 11 იანვარს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის იურიდიული მისამართია ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 71ბ, ბინა 12. კომპანიის 65% წილის მფლობელი 2022 წლის ივნისამდე უკრაინის მოქალაქე განნა პეტროვა, კომპანიის დირექტორი და 35% წილის მფლობელი საქართველოს მოქალაქე მაია ბიბილაური. 2022 წლის ივნისიდან 100% წილის მფლობელი საქართველოს მოქალაქე მაია ბიბილაური.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ტურისტული მომსახურების მიწოდება, როგორც საქართველოში ისე მის საზღვრებს გარეთ. ტურისტული მომსახურება მოიცავს გაყვანით და შემოყვანით ტურიზმს, კერძოდ ავიაბილეთებს, სასტუმროს ჯავშნებს, სავიზო მომსახურებას, უცხოელი ტურისტების ორგანიზებულ შემოყვანას საქართველოში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადდა მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის. მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი.

ანგარიშგება მომზადებულია საქართველოს ეროვნულ ვალუტა ლარში, დარიცხვის მეთოდით, გარდა ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ინფორმაციისა.

სააღრიცხვო პოლიტიკა

ამონაგები

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. კომპანიის შემოსავალს წარმოადგენს ტურისტული მომსახურების გაწევიდან მიღებული ამონაგები.

კომპანიის საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ლარი. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები აღიარებულია ტრანზაქციის დღეს არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთები გადაფასებულია პერიოდის ბოლოს არსებული

ეროვნული გაცვლითი კურსის შესაბამისად. წარმოქმნილი საკურსო სხვაობა აღიარებულია მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო მოთხოვნები და ვალდებულებები

კომპანია მომსახურებას უწევს როგორც საქართველოს რეზიდენტ ასევე არარეზიდენტ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს, ასევე ვალდებულებებიც აღირიცხება როგორც ლარში ასევე უცხოურ ვალუტაში, შესაბამისად უცხოურ ვალუტაში ასახული ნაშთები ექვემდებარება გადაფასებას ყოველი პერიოდის ბოლოს, საკურსო სხვაობა აღირიცხება მოგებაში ან ზარალში.

მარაგი

მარაგების აღიარება ხდება თვითღირებულებით, მიმდინარე მარაგს წარმოადგენს საწვავი. გახარჯული საწვავის ჩამოწერა ხდება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით საწვავის ჩამოწერის აქტის საფუძველზე.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციაში შესვლა ხდება მისი თვითღირებულებით, ექსპლუატაციაში შესვლის თარიღად ითვლება შემენის თვის პირველი რიცხვი თუ ძირითადი საშუალების შემენა მოხდა ამ თვის 15 რიცხვის ჩათვლით, სხვა შემთხვევაში ექსპლუატაციაში შესვლის თარიღად ითვლება მომდევნო თვის 1 რიცხვი. აღიარების შემდგომ ძირითად საშუალებას ერიცხება ცვეთა წრფივი მეთოდით და აღირიცხება თავდაპირველ თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა.

ძირითადი საშუალებები დაყოფილია 4 ჯგუფად: შენობა, ნაგებობები - სასარგებლო მომსახურების ვადა 20 წელი, ავეჯი და სხვა ინვენტარი - სასარგებლო მომსახურების ვადა 3 და 5 წელი, ოფისის არჭურვილობა და ელექტრო ტექნიკა - სასარგებლო მომსახურების ვადა 3 და 5 წელი, ავტო მანქანა - სასარგებლო გამოყენების ვადა 3 წელი.

ჩამოწერის ან გაყიდვის შემთხვევაში შესაბამისი თანხები აისახება მოგება-ზარალში.

სასესხო ვალდებულება

მიმდინარე სასესხო ვალდებულებას წარმოადგენს საკრედიტო ხაზი და ბიზნეს სესხი. საპროცენტი ხარჯი ერიცხება ყოველთვიურად აუთვისებელი და ათვისებული თანხის შესაბამისად და აღიარდება შესაბამისი თვის მოგება-ზარალში.

საგადასახადო ვალდებულება

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის თანახმად, მგზავრთა საერთაშორისო გადაყვანის სამგზავრო ბილეთების რეალიზაციის და საზღვარგარეთ გაწეული მომსახურება გათავისუფლებულია დღგ-ს გადასახადისგან. შესაბამისად კომპანია აღნიშნულ მომსახურებებზე არ იხდის დღგ-ს. ასევე 168-ე მუხლის თანახმად, ჩათვლის უფლებით დღგ-ისგან გათავისუფლებულია ტუროპერატორების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე ტურისტულ ობიექტებში უცხოელი ტურისტების ორგანიზებული შემოყვანა და მათთვის საქართველოს ტერიტორიაზე ტურისტული მომსახურების პაკეტის მიწოდება. აქედან გამომდინარე კომპანიას გააჩნია საგადასახადო აქტივი.

ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი მუხლების განმარტება

ამონაგები

საქართველოში გაწეული მომსახურება	2,802,398
გაყვანითი ტურიზმი	2,766,669
ავიაბილეთები	9,880,262
სულ:	15,449,329

დასაქმებულთა ანაზღაურება

დასაქმებულთა ანაზღაურებას წარმოადგენს დარიცხული ხელფასი და დარიცხული ბონუსი.

საპროცენტო ხარჯი და შემოსავალი

საპროცენტო ხარჯს წარმოადგენს საკრედიტო ხაზის ათვისებულ და აუთვისებელ თანხებზე დარიცხულ პროცენტს, საპროცენტო შემოსავალი კი მოქნილ შემნახველ ანაბარზე განთავსებულ თანხებზე დარიცხულ პროცენტს.

ძირითადი საშუალებები

	31.12.2023	შემოსვლა	ცვეთა	გასვლა	31.12.2024
შენობა, ნაგებობები	90,411	-	10,274	-	80,137
მსუბუქი ავტომანქანა	129,621	-	20,893	-	108,728
ავეჯი და სხვა ინვენტარი	12,015	250	3,033	-	9,232
ოფისის აღჭურვილობა და ელ. ტექნიკა	19,989	1,864	4,862	-	16,991
არამატერიალური აქტივი	3,772			-	3,772
სულ:	255,808	2,114	39,062	-	218,860

სასესხო ვალდებულება

სასესხო ვალდებულებას წარმოადგენს პერიოდის ბოლოს კომპანიის საკრედიტო ხაზიდან ათვისებულ თანხას და მანქანის შესაძენად აღებულ ბიზნეს სესხს. საკრედიტო ხაზი გახსნილია ლარში.

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კომპანიის დირექტორის მიერ 2025 წლის 1 ოქტომბერს

დირექტორი

მაია ბიბილაური

